



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მამრაძე პეტრე გრიგოლის ძე

მამრაძე პეტრე გრიგოლის ძე [27. II (11. III). 1877, თბილისი, – 31. VII. 1937, იქვე], ინჟინერ-პიდროტექნიკოსი, ირიგაციის ფუძემდებელი საქართველოში. დაამთავრა პეტერბ. ტექნიკ. ინ-ტი (1907). ასწავლიდა მათემატიკას თბილ. ქართ. გიმნაზიაში (1907-10). მონაწილეობდა დღევანდელი რუსთაველის თეატრის მშენებლობაში; დაამუშავა მთაწმინდის პანთეონში ი. ჭავჭავაძის საფლავის არქიტექტურული ნაწილი (1912-13), ქუთ. თბოელექტროსადგურის, ალაზნისა და დოლლაურის ველების, ლამი-მისაქციელის მიწების მორწყვის პროექტები (1912-17) და სხვ. იყო ამიერკავკასიის „წყალთა საბჭოს“ წევრი და „წყალთა საქმის“ ინსპექტორი (1917-იდან), თბილ. მთ. ინჟინერი (1918-21). შეადგინა თბილ. ახალი წყალსადენის პროექტი ნატახტრისა და ბულაჩაურის წყაროების საფუძველზე (1919); განაგებდა დას. საქართველოში პირველი სარწყავი სისტემის შექმნისა და ჭაობების დაშრობის სამუშაოებს (1921-25), დააპროექტა ალაზნის სარწყავი სისტემა (ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას), აგრეთვე შირაქის წყალსადენი, სამგორის სარწყავი სისტემა და თბილისის ზღვა, მოამზადა საქართვ. პირველი სამელიორაციო გეგმა (1926-30). დაამუშავა კურ. წყალტუბოს გენ. გეგმის ძირითადი სქემა და სათავეში ედგა ქალაქის პიდროტექ. კომპლექსის მშენებლობას (1932-37). ამავე პერიოდში ლექციებს კითხულობდა სპი-ში (ახლანდ. სტუ). რეპრესირებული იყო ე.ნ. პრომპარტიის (მრეწველთა პარტია) საქმესთან დაკავშირებით (1930-32).

ლიტ.: მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა ც., საქართველოში ირიგაციის საქმის ფუძემდებელი, პეტრე მამრაძის დაბადების 125 წელი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002, №58.